

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

## შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

|                                                     |       |
|-----------------------------------------------------|-------|
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                  | 5     |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....             | 6     |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....             | 7     |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....                   | 8-9   |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... | 10-55 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

### *მოსაზრება*

ჩავატარეთ სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

### *მოსაზრების საფუძველი*

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### *მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან*

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

### ***სხვა ინფორმაცია***

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიშები ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს ის სხვა არსებით უზუსტობას.

### ***ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

### ***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დამშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 12 ივლისი



# EY

**Building a better  
working world**

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 12 ივლისი

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

|                                                            | შენიშვნები | 2018           | 2017         |
|------------------------------------------------------------|------------|----------------|--------------|
| შემოსავალი                                                 | 6          | 71,499         | 70,305       |
| ბუნებრივი აირის თვითღირებულება                             |            | (52,214)       | (55,486)     |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი                  |            | (2,536)        | (2,262)      |
| გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები                          |            | (2,570)        | (2,241)      |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                       | 9, 10      | (1,696)        | (1,614)      |
| შექმნილი ანარიცხები, წმინდა                                | 7          | (122)          | (323)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                    | 8          | (6,116)        | (4,555)      |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება</b>            |            | <b>6,245</b>   | <b>3,824</b> |
| საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება        |            | (12)           | 43           |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული (ზარალი)/მოგება |            | (15)           | 38           |
| წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა შემოსავალში              | 11         | –              | 1,720        |
| მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება                | 11         | (14,024)       | (1,432)      |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი                |            | 5,827          | 579          |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები                  | 17         | (1,271)        | (1,828)      |
| <b>(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე</b>      |            | <b>(3,250)</b> | <b>2,944</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  |            | –              | –            |
| <b>წლის (ზარალი)/მოგება</b>                                |            | <b>(3,250)</b> | <b>2,944</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                      |            | –              | –            |
| <b>მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში</b> |            | <b>(3,250)</b> | <b>2,944</b> |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2019 წლის 12 ივლისს:

\_\_\_\_\_  
 ალექსანდრე ხეთაგური  
 დირექტორი  
 სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

10-55 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

|                                                                                              | შენიშვნები | 2018           | 2017         |
|----------------------------------------------------------------------------------------------|------------|----------------|--------------|
| შემოსავალი                                                                                   | 6          | 71,499         | 70,305       |
| ბუნებრივი აირის თვითღირებულება                                                               |            | (52,214)       | (55,486)     |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი                                                    |            | (2,536)        | (2,262)      |
| გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები                                                            |            | (2,570)        | (2,241)      |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                         | 9, 10      | (1,696)        | (1,614)      |
| შექმნილი ანარიცხები, წმინდა                                                                  | 7          | (122)          | (323)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                                                      | 8          | (6,116)        | (4,555)      |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება</b>                                              |            | <b>6,245</b>   | <b>3,824</b> |
| საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა<br>(ზარალი)/მოგება                                        |            | (12)           | 43           |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული<br>(ზარალი)/მოგება                                |            | (15)           | 38           |
| წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა შემოსავალში                                                | 11         | -              | 1,720        |
| მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება                                                  | 11         | (14,024)       | (1,432)      |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი                                                  |            | 5,827          | 579          |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები<br>(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე | 17         | (1,271)        | (1,828)      |
|                                                                                              |            | <b>(3,250)</b> | <b>2,944</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                    |            | -              | -            |
| <b>წლის (ზარალი)/მოგება</b>                                                                  |            | <b>(3,250)</b> | <b>2,944</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                                                        |            | -              | -            |
| მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის<br>განმავლობაში                                       |            | <b>(3,250)</b> | <b>2,944</b> |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2019 წლის 12 ივლისს:

ალექსანდრე ხეიაგური  
დირექტორი  
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

10-55 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ათასი ლარი)

|                                                  | შენიშვნები | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|--------------------------------------------------|------------|---------------------------|---------------------------|
| <b>აქტივები</b>                                  |            |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                     |            |                           |                           |
| ძირითადი საშუალებები                             | 9          | 18,939                    | 18,294                    |
| გაცემული სესხები                                 | 14         | 60,604                    | –                         |
| რესტრუქტურისებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება | 12         | 563                       | 896                       |
| არამატერიალური აქტივები                          | 10         | 2,033                     | 2,330                     |
| საინვესტიციო ქონება                              |            | 721                       | –                         |
| მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება                | 11         | 872                       | 1,072                     |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                 |            | <b>83,732</b>             | <b>22,592</b>             |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                        |            |                           |                           |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები                   |            | 13                        | 8                         |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება           | 12         | 11,508                    | 66,929                    |
| გაცემული სესხები                                 | 14         | –                         | 5,287                     |
| გადახდილი ავანსები                               | 13         | 95                        | 5,589                     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები            | 15         | 1,819                     | 2,129                     |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                    |            | <b>13,435</b>             | <b>79,942</b>             |
| <b>სულ აქტივები</b>                              |            | <b>97,167</b>             | <b>102,534</b>            |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>                 |            |                           |                           |
| <b>კაპიტალი</b>                                  |            |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                               | 16         | 39,382                    | 39,382                    |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი                      | 16         | 1,085                     | 1,085                     |
| გადაუხდელი კაპიტალი                              | 16         | (3,520)                   | (3,520)                   |
| გაუნაწილებელი მოგება                             |            | 43,442                    | 46,915                    |
| <b>სულ კაპიტალი</b>                              |            | <b>80,389</b>             | <b>83,862</b>             |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                   |            |                           |                           |
| სესხები                                          | 17         | 7,915                     | 13,101                    |
| წმინდა საგადასახადო დავალიანება                  |            | 67                        | 156                       |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება          | 18         | 7,798                     | 3,951                     |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები                     |            | 998                       | 1,464                     |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>               |            | <b>16,778</b>             | <b>18,672</b>             |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                         |            | <b>16,778</b>             | <b>18,672</b>             |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>             |            | <b>97,167</b>             | <b>102,534</b>            |

10-55 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

|                                                                               | სააქციო<br>კაპიტალი | დამატებით<br>შეტანილი<br>კაპიტალი | გადაუხდელი<br>კაპიტალი | გაუნაწილე-<br>ბელი<br>მოგება | სულ           |
|-------------------------------------------------------------------------------|---------------------|-----------------------------------|------------------------|------------------------------|---------------|
| <b>2016 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b>                                | <b>39,382</b>       | <b>1,085</b>                      | <b>(3,520)</b>         | <b>43,971</b>                | <b>80,918</b> |
| წლის მთლიანი სრული<br>შემოსავალი                                              | –                   | –                                 | –                      | 2,944                        | 2,944         |
| <b>2017 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b>                                | <b>39,382</b>       | <b>1,085</b>                      | <b>(3,520)</b>         | <b>46,915</b>                | <b>83,862</b> |
| ბუღალტრული აღრიცხვის<br>ახალი სტანდარტის<br>მიღების ეფექტი<br>(მე-4 შენიშვნა) | –                   | –                                 | –                      | (223)                        | (223)         |
| <b>2018 წლის 1 იანვრის<br/>მდგომარეობით<br/>(გადაანგარიშებული)</b>            | <b>39,382</b>       | <b>1,085</b>                      | <b>(3,520)</b>         | <b>46,692</b>                | <b>83,639</b> |
| წლის მთლიანი სრული<br>ზარალი                                                  | –                   | –                                 | –                      | (3,250)                      | (3,250)       |
| <b>2018 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b>                                | <b>39,382</b>       | <b>1,085</b>                      | <b>(3,520)</b>         | <b>43,442</b>                | <b>80,389</b> |

10-55 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

|                                                                                                            | შენიშვნები | 2018           | 2017         |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|----------------|--------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                                                               |            |                |              |
| (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე                                                            |            | (3,250)        | 2,944        |
| <i>არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:</i> |            |                |              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                       | 9, 10      | 1,696          | 1,614        |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი/(მოგება)                                                 |            | 15             | (38)         |
| შექმნილი ანარიცხები, წმინდა                                                                                | 7          | 122            | 323          |
| საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე                                                                     | 14         | (5,647)        | (362)        |
| რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებაზე დარიცხული დისკონტის ამორტიზაციიდან სარგებელი                      | 12         | (180)          | (217)        |
| საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი                            |            | 11             | -            |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები                                                                  | 17         | 1,271          | 1,828        |
| წილი მეკავშირე საწარმოს შემოსავალში                                                                        | 11         | -              | (1,720)      |
| მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება                                                                | 11         | 14,024         | 1,432        |
| <b>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე</b>                                        |            | <b>8,062</b>   | <b>5,804</b> |
| <i>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები</i>                                                                |            |                |              |
| ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში                                                                    |            | (5)            | (3)          |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში                                                           |            | 56,519         | 995          |
| ცვლილება გადახდილ ავანსებში                                                                                |            | 5,494          | 895          |
| ცვლილება საგადასახადო დავალიანებაში, წმინდა                                                                |            | (89)           | 180          |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში                                                          |            | 3,847          | (4,488)      |
| სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება                                                                     |            | (466)          | 157          |
|                                                                                                            |            | <b>73,362</b>  | <b>3,540</b> |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი                                                                |            | -              | 11           |
| ფინანსური საქმიანობაზე გაწეული ხარჯები                                                                     |            | (1,371)        | (1,673)      |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                                            |            | <b>71,991</b>  | <b>1,878</b> |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                                                             |            |                |              |
| ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები                                                                     |            | (1,884)        | (691)        |
| გადახდები საინვესტიციო ქონებაზე                                                                            |            | (721)          | -            |
| არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხები                                                                  |            | (292)          | (369)        |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ფულადი შემოსავალი                                               |            | 117            | 42           |
| მიღებული დივიდენდი                                                                                         |            | 200            | 150          |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                                       |            | <b>(2,580)</b> | <b>(868)</b> |

10-55 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

|                                                                                                       | შენიშვნები | 2018            | 2017         |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|-----------------|--------------|
| <b>ფინანსური საქმიანობა</b>                                                                           |            |                 |              |
| აღებული სესხები და თამასუქები                                                                         |            | 11,309          | 7,217        |
| სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა                                                          |            | (16,395)        | (6,466)      |
| გაცემული სესხების ამოღება                                                                             |            | 5,376           | 1,099        |
| გაცემული სესხები                                                                                      |            | (70,000)        | (1,110)      |
| <b>(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) / ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b> |            | <b>(69,710)</b> | <b>740</b>   |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა</b>                                |            | <b>(299)</b>    | <b>1,750</b> |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით                                          | 15         | 2,129           | 379          |
| წმინდა საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                         |            | (11)            | –            |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                                | <b>15</b>  | <b>1,819</b>    | <b>2,129</b> |

10-55 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია რეგისტრირებული და დაფუძნებულია საქართველოში. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ქიზიყის ქუჩა #13.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბითუმო კლიენტებისთვის გაზის მიყიდვას, შემოსავალს გაზგასამართი სადგურებიდან და შემოსავალს გაზის მილსადენის იჯარებიდან.

კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს „Alphard Gas Holdings B.V.“ (შემდგომში „Alphard“). „Alphard“-ის მფლობელი და მაკონტროლებელი მხარეა „Cooperatief Menkent UA“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელიც ნიდერლანდებში რეგისტრირებული საწარმოა.

საწარმოს საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (შემდგომში „SOCAR“), რომელსაც ფლობს და აკონტროლებს აზერბაიჯანის მთავრობა.

კომპანიის წილობრივი მონაწილეობა მშობელ კომპანიაში არის 75,5% (2017 წლის 31 დეკემბერი: 75,5%).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერთა კრება, როგორც წესი, ტარდება საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის მეორე ნახევარში. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

#### 2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე (000 ლარი), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

##### (ა) აქტივებისა და ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული ვალდებულების დასაფარად მისი გადაცვლა ან გამოყენება ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

##### (ბ) უცხოური ვალუტები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც ფუნქციონირებს კომპანია.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ გარიგებებს კომპანია თავდაპირველად აღრიცხავს ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (გ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. კომპანია შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც ის კლიენტს გადასცემს კონტროლს პროდუქტზე ან მომსახურებაზე.

მრავალეფემენტიანი ხელშეკრულებების დროს კომპანია თითოეულ მომსახურებას ცალკე აღნიშნავს, თუ მათი გამიჯვნა შესაძლებელია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასები განისაზღვრება იმ ფრაის-ლისტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც კომპანია ყიდის ოპერაციების დამუშავების და ტექნიკურ მომსახურებებს.

კომპანია შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც ის აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ე.ი. პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს გადასცემს კლიენტს.

კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტად.

კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლების მომტან გარიგებებში ის პრინციპალის სახით მოქმედებს (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი კლიენტისთვის გადაცემამდე).

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

##### (i) ბუნებრივი აირის რეალიზაცია

კომპანია საბითუმო მომხმარებლებზე ყიდის ბუნებრივ აირს. შემოსავალი აღიარდება კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელიც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით თვის ბოლოს.

##### (ii) მომსახურების გაწევა

შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება აბონენტებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე აბონენტებისთვის გაზმომარაგების ქსელის გაყვანას და კომპანიის ქსელთან მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათის არის და მათი აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა და შესაძლებელია გადახდის მიღება.

##### (iii) საიჯარო შემოსავალი

ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (გ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

##### *(iv) საპროცენტო შემოსავალი*

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

##### *სახელშეკრულებო ნაშთები*

##### სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილ საფასურზე. თუ კომპანია კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

##### სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

##### სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის საქონლის გადაცემამდე ან მომსახურების გაწევამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (დ) გადასახადები

###### (i) მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

###### (ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას. დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (დ) გადასახადები (გაგრძელება)

##### (iii) წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

ამიტომ კომპანია თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

##### ე) ძირითადი საშუალებები

##### (i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, ძირითადი საშუალების ნაწილის გამოცვლის ხარჯს და გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების ნასესხებ სახსრებს, აღიარების კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

როდესაც აუცილებელია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის დროდადრო გამოცვლა, კომპანია მათ ცვეთას აღრიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულის სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

##### (ii) დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში მიღებიდან.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

##### (iii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ნაწილის გამოცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია ამ ნაწილიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და თუ შეიძლება მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

##### (iv) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

##### (v) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადა ასეთია:

|                                    |          |
|------------------------------------|----------|
| მილსადენები                        | 25 წელი  |
| შენობა-ნაგებობები                  | 25 წელი  |
| მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 8 წელი   |
| კომპიუტერები                       | 5 წლამდე |
| სატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი  | 5 წლამდე |
| სხვა                               | 5 წლამდე |

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ვ) არამატერიალური აქტივები**

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ფასდება. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო შვიდწლიან ვადაზე. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

**(ზ) იჯარა**

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან მოიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის ან აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

**(i) კომპანია, როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

**(ii) კომპანია, როგორც მეიჯარე**

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

##### (ი) ფინანსური აქტივები

##### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „*მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს*“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

###### *შემდგომი შეფასება*

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

###### ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სესხებს და სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს.

###### მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)**

*რესტრუქტურულიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება*

ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოსაღებად კომპანია აფორმებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურულიზაციის ხელშეკრულებებს, რათა მომხმარებლებმა შეძლონ მათი ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად გადახდა. კომპანია რესტრუქტურულიზებულ დებიტორულ დავალიანებას პროცენტს არ არიცხავს; შესაბამისად, რესტრუქტურულიზაციის შედეგად მიღებულ ზარალს იგი ასახავს იმ თანხის სახით, რომელიც რესტრუქტურულიზაციამდე ვადაგასული დებიტორული დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურულიზაციის თარიღით მის სამართლიან ღირებულებას შორის არსებული განსხვავების ტოლია. რესტრუქტურულიზებული დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი სესხებისათვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა მან ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

##### *ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (მე-4 შენიშვნა).
- ▶ განმარტებითი შენიშვნები მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ (მე-5 შენიშვნა)
- ▶ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (მე-12 შენიშვნა).

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში (აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

საკრედიტო ინსტიტუტებში ფლობილი თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

##### (ii) ფინანსური ვალდებულებები

##### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

###### *შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

###### *სესხები*

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება ანგარიშდება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

###### *აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

##### *(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა*

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

##### (iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება ხდება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

კომპანია არ ფლობს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც მიმოქცევაშია აქტიურ ბაზრებზე.

ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში არაა, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. ასეთი მეთოდები შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანი პირობებით ადრეულ წარსულში შემდგარ საბაზრო გარიგებებს, არსებითად ანალოგიური სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე სამართლიანი ღირებულების გამოყენებას, დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზს ან შეფასების სხვა მოდელებს.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

##### (ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა შესყიდვის ღირებულებას, ფიფო (FIFO) აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით, ან საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

##### (კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)**

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

**(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი.

ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ გაუფასურებით გამოწვეული უკვე აღიარებული ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (ლ) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

##### (მ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

##### (ნ) ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო ისეთი სამეურნეო ერთეულია, რომელშიც კომპანიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს ინვესტიციის ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლებამოსილებას, მაგრამ არა კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ პოლიტიკაზე.

კომპანიის ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში კაპიტალ-მეთოდით აღირიცხება.

კაპიტალ-მეთოდის თანახმად, მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება შესაბამისად კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში კომპანიის მიერ ფლობილ წმინდა აქტივებში შეძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები. მეკავშირე საწარმოსთან დაკავშირებული გუდვილი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში და ის ინდივიდუალურად გაუფასურებაზე არ მოწმდება.

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში კომპანიის წილს. ამგვარი ინვესტიციების ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოდგენილია საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან, როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, კომპანია ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. კომპანიასა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

მეკავშირე საწარმოში კომპანიის მოგების ან ზარალის წილის მთლიანი თანხა ნაჩვენებია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების დასაწყისში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების გარეთ და ის წარმოადგენს მოგებას ან ზარალს გადასახადით დაბეგვრის შემდეგ და არასაკონტროლო პაკეტს მეკავშირე საწარმოს შვილობილ კომპანიებში.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (ნ) ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იგივე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია კომპანიის ანგარიშგებაში. საჭიროების შემთხვევაში კეთდება კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკების კომპანიის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შემდეგ, კომპანია განსაზღვრავს საჭიროა თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება მის მეკავშირე საწარმოში ინვესტიციაზე. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გაუფასურებულია. თუ არსებობს ამგვარი მტკიცებულება, კომპანია დაიანგარიშებს გაუფასურების ოდენობას მეკავშირე საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის განსხვავების სახით და შემდეგ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებს ზარალს მეკავშირე საწარმოს მოგების წილში.

მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, კომპანია ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებასა და აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის ამონაგების სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

##### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 15 და ფასს (IFRS) 9. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

##### *ფასს (IFRS) 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*

ფასს (IFRS) 15 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 11-ს *სამშენებლო ხელშეკრულებები*, ბასს (IAS) 18-ს *შემოსავალი* და შესაბამისი ინტერპრეტაციები და შეზღუდული გამონაკლისის სახით იყენებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ყველა ამონაგებზე. ფასს (IFRS) 15 ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვის ხუთ-საფეხურიან მოდელს და მოითხოვს, რომ ამგვარი შემოსავლების აღიარება მოხდეს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

##### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15 საწარმოებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას.

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 15 და ფასს (IFRS) 9. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

##### *ფასს (IFRS) 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*

ფასს (IFRS) 15 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 11-ს *სამშენებლო ხელშეკრულებები*, ბასს (IAS) 18-ს *შემოსავალი* და შესაბამისი ინტერპრეტაციები და შეზღუდული გამონაკლისის სახით იყენებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ყველა ამონაგებზე. ფასს (IFRS) 15 ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვის ხუთ-საფეხურიან მოდელს და მოითხოვს, რომ ამგვარი შემოსავლების აღიარება მოხდეს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ფასს (IFRS) 15 საწარმოებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას.

კომპანიამ ახალი სტანდარტი მისი ძალაში შესვლის თარიღში მიიღო. კომპანიამ ჩაატარა ფასს (IFRS) 15-ის მიღების გავლენის დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც დაადგინა, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სტანდარტის მიღებას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე გავლენა არ ჰქონია.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში (გაგრძელება)

##### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

###### *(ა) საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა*

კომპანია აღიარებს ამონაგებს საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან, გაყიდული საქონლის და გაწეული მომსახურების ფაქტიური მოცულობების საფუძველზე. ფასს (IFRS) 15-ის გამოყენება საქონლის ან მომსახურების ხელშეკრულებებთან მიმართებაში არ მოქმედებს კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგების შემოსავალზე.

ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებისას კომპანია ითვალისწინებს შემდეგს:

###### *i) ცვალებადი ანაზღაურება*

ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, სავალდებულო სავარაუდო ცვალებადი ანაზღაურების შეზღუდვა შემოსავლის გადაჭარბებით აღიარების თავიდან ასაცილებლად. ცვალებადი ანაზღაურება შესული არ არის მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ფასდაკლებების, საკრედიტო გადახდების ფასდათმობების, შეღავათების, შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების ან სხვა მსგავსი ერთეულების არარსებობის გამო. შესაბამისად, სტანდარტის ხსენებულ განახლებას არ ექნება გავლენა კომპანიის შემოსავლის აღიარებაზე.

###### *ii) პრინციპალის და აგენტის საკითხები*

ფასს (IFRS) 15 მოითხოვს იმის შეფასებას, კომპანია აკონტროლებს თუ არა კონკრეტულ საქონელს ან მომსახურებას, მისა მომხმარებელზე/მომხმარებლის კლიენტზე გადაცემამდე. კომპანია განსაზღვრავს, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ყველა ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის აღიარება (რადგან ის აკონტროლებს დაპიებული მომსახურებას მის მომხმარებლისთვის ან მომხმარებლის კლიენტისთვის გაწევამდე).

###### *iii) მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები*

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები სახელშეკრულებო ვალდებულებებს წარმოადგენს. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის საქონლის ან მომსახურების მყიდველის წინაშე არსებული ვალდებულებები, ვისგანაც კომპანიამ მიიღო შესაბამისი ანაზღაურება. თუ მყიდველი ანაზღაურებას მოახდენს კომპანიის მიერ მისთვის პროდუქტის ან მომსახურების გადაცემამდე (გაწევამდე), სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება გადახდის განხორციელების მომენტში ან იმ დროს, როდესაც გადახდის ვალდებულება დადგება (რომელსაც ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს შესაბამის ვალდებულებებს.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

##### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში, კომპანიამ უნდა განსაზღვროს არსებობს თუ არა მის ხელშეკრულებებში მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი.

კომპანია თავისი მომხმარებლებისგან მხოლოდ მოკლევადიან ავანსებს იღებს. ისინი აისახება სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილის სახით. კომპანიამ განსაზღვრა, რომ პერიოდი კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევიდან, მომსახურების ანაზღაურებამდე შედარებით მოკლეა. შესაბამისად, კომპანიამ დაასკვნა, რომ ხსენებული ხელშეკრულებები არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

##### (ბ) წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები

კომპანიამ შეაფასა ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მასში ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნები და დაასკვნა, რომ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საჭირო არ არის დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

##### ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტები ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და ამ თარიღის შემდეგ ყოველწლიური პერიოდებისთვის. ეს სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანიამ ფასს (IFRS) 9 რეტროსპექტულად გამოიყენა, თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვარს. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება არ მოახდინოს შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი პერიოდისთვის, რადგან:

- ▶ შედარებადი ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ განხილულია ბასს (IAS) 39-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესაბამისად (მე-12, მე-14, მე-15 და მე-18 შენიშვნები);
- ▶ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის ცვლილება აღიარდება კაპიტალში ცვლილებების საბოლოო ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ამგვარი ცვლილების თანხა შეადგენს 223 ლარს და ის სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს უკავშირდება.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

##### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

###### (გ) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, სასესხო ინსტრუმენტები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. კლასიფიკაცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება: კომპანიის ბიზნეს-მოდელი აქტივების სამართავად; და წარმოადგენს თუ არა ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს' (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. კომპანიის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა 2018 წლის 1 იანვარს (სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღში) და ის ეფუძნებოდა აქტივების თავდაპირველი აღიარების მდგომარეობით არსებულ ფაქტებს და ვითარებებს.

ფასს (IFRS) 9-ის კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიაზე. ახალი მოთხოვნების საფუძველზე, კომპანია კვლავ ახდენს მისი ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებას.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაში ცვლილებები არ მომხდარა.

###### (დ) გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ შეცვალა კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა, ბასს (IAS) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს (IFRS) 9 კომპანიისგან მოითხოვს აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასევე და სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების მიღებამ 2018 წელს გამოიწვია კომპანიის სასესხო ფინანსური აქტივების რეზერვის 223 ლარით ზრდა.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

##### სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონიათ ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ფასიკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 *ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად*;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 40-ში *„საინვესტიციო ქონების გადატანა“*;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 2-ში *„აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება“*;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 4-ში *ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს (IFRS) 4-თან „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ერთად*;
- ▶ ბასს (IAS) 28-ის ცვლილება *„ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“* - განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს;
- ▶ ფასს (IFRS) 1-ის ცვლილება *(ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება – მოკლევადიანი გამონაკლისების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს)*.

##### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

##### ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულებები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

##### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS)16-ით, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე ხდებოდა. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

კომპანია გეგმავს ფასს (IFRS) 16-ის მიღებას მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. შესაბამისად, კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს (IAS) 17-ის ფარგლებში. კომპანია ამ სტანდარტით შემოთავაზებულ გამონაკლისებს გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც იჯარის ვადა სრულდება თავდაპირველი გამოყენებიდან 12 თვის განმავლობაში, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც საბაზისო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს.

საანგარიშგებო თარიღში კომპანია ფასს (IFRS) 16-ის გავლენის ანალიზს ატარებს, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდისთვის, რაც მოიცავს გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების ზრდას, საიჯარო ვალდებულებების ზრდას და გაუნაწილებელი მოგების კლებას.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

##### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებიც კომპანიაზე არ ვრცელდება:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში: „გემის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში: „გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში“;
- ▶ ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 წ.წ. ციკლი (გამოშვებული 2017 წლის დეკემბერში)
  - ▶ ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“;
  - ▶ ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი გარიგებები“;
  - ▶ ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“;
  - ▶ ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

##### მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

##### *(i) ინვესტირება მკავშირე საწარმოებში*

კომპანია ფლობს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - სს „საქორგაზის“ წილის 13.25%-ს. ითვლება, რომ 20%-იანი ან უფრო ნაკლები ხმის უფლების მქონე წილის ფლობა არ წარმოშობს მნიშვნელოვან გავლენას, თუ არ მოხდება იმის მკაფიოდ დემონსტრირება, რომ ფაქტობრივი მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს. სს „საქორგაზის“ შემთხვევაში, 20%-ზე ნაკლების ფლობის მიუხედავად, ხელმძღვანელობის მსჯელობის საფუძველზე კომპანიას მნიშვნელოვნად გავლენა აქვს ინვესტიციის ობიექტზე, და იქედან გამომდინარე, რომ კომპანიას და სს „საქორგაზს“ ერთი და იგივე ხელმძღვანელობა ჰყავთ, მათ საქმიანობებს მნიშვნელოვანი გადაფარვა აქვთ, ხოლო გადაწყვეტილებებს ხელმძღვანელობა ერთობლივად იღებს ორივე საწარმოსთვის.

#### შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

##### *(ი) არაფინანსური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე*

გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან ემპირიული ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასხვისების ზღვრული ხარჯები. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ხდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. ფულადი ნაკადები მიიღება მომდევნო ხუთი წლის ხელმძღვანელობის პროგნოზებიდან და არ მოიცავს რესტრუქტურირაციას, რომელთა ვალდებულებაც კომპანიას ჯერ არ აუღია ან მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომლებიც გააუმჯობესებს შემოწმებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, როგორც აქტივის ეფექტურობას.

ხელმძღვანელობამ ჩაატარა მაჩვენებლის ანალიზი, რომლის მიხედვითაც აქტივები შესაძლოა კიდევ გაუფასურდეს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მან ვერ მოახდინა გარე ან შიდა ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ არაფინანსური აქტივების გაუფასურება.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

##### შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

##### *(ii) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი*

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის და ის იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას.

ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანიამ გამოიყენა კომპანიის საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ამგვარად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებული არაუზრუნველყოფილი თანხების რეზერვი 3,249 ლარის (2017 წ.: 2,904 ლარი) ოდენობით სავალო ფინანსური აქტივის გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-7 და მე-12 შენიშვნები).

##### *(iii) რესტრუქტურულიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება*

დებიტორული დავალიანების ამოღების ხელშესაწყობად კომპანია აფორმებს ხელშეკრულებებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურულიზაციის მიზნით, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები დავალიანებას ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიური შენატანების სახით გადაიხდიან. კომპანია რესტრუქტურულიზებულ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას რესტრუქტურულიზაციის დღეს აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რომელიც მიიღება მოსალოდნელი ყოველთვიური ფულადი ნაკადის შემოძინებების დისკონტირებით იმ პერიოდში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საშუალო საბაზრო განაკვეთის გამოყენებით (საქართველოს ეროვნული ბანკის პერიოდული ბიულეტენის მიხედვით). პროცენტის საბაზრო განაკვეთი და მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დიდ გავლენას ახდენს რესტრუქტურულიზაციის დღეს ამ დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაზე (მე-12 შენიშვნა).

##### *(iv) პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების შეფასება*

არსებობს გაურკვევლობები რთული საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციასთან მიმართებაში. კომპანია გონივრული შეფასებების საფუძველზე ქმნის გარკვეულ ანარიცხებს საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შესაძლო შედეგებისთვის. ანარიცხების დონეს განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ წინა საგადასახადო შემოწმებებიდან მიღებული გამოცდილება და დასაბეგრი კომპანიისა და შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაციის ამგვარი განსხვავებები შესაძლოა წარმოიშვას მრავალ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანაში უპირატესად არსებული ვითარებებიდან გამომდინარე. სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები განხილულია მე-19 შენიშვნაში.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 6. შემოსავალი

კომპანია საბითუმო მომხმარებლებზე ყიდის გაზს. შემოსავალი აღიარდება კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელიც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით თვის ბოლოს.

შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება კლიენტებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე კლიენტებისთვის გაზმომარაგების ქსელის გაყვანასა და კომპანიის ქსელთან მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათისაა და მათი აღიარება ხდება შესაბამისი შესასრულებელი მოვალეობის დაკმაყოფილებისას.

|                            | 2018          | 2017          |
|----------------------------|---------------|---------------|
| ბუნებრივი აირის რეალიზაცია | 66,420        | 68,587        |
| შემოსავალი იჯარიდან        | 3,061         | 663           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 2,018         | 1,055         |
| <b>სულ შემოსავალი</b>      | <b>71,499</b> | <b>70,305</b> |

#### სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

|                                | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება | 11,508                    | 66,929                    |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები   | 998                       | 1,464                     |

სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. 2018 წლის განმავლობაში ერთერთი უმსხვილესი კლიენტის მიერ განხორციელებულმა გადახდამ 50,288 ლარი შეადგინა, რამაც გამოიწვია სავაჭრო დებიტორული დავალიანების 55,421 ლარით კლება.

სახელშეკრულებო ვალდებულებები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, ბუნებრივი აირი მიაწოდოს ამ კლიენტებს. 998 ლარის ოდენობით მიღებული ავანსები უკავშირდებოდა შესასრულებელ მოვალეობებს, რომლებიც არ იყო დაკმაყოფილებულია ანგარიშგების თარიღში და რომელთა აღიარებაც მოსალოდნელია 2019 წლის შემოსავლის სახით. 1,464 ლარი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სახელშეკრულებო ვალდებულებებში იყო შესული, კომპანიამ 2018 წლის შემოსავალში აღიარა.

## სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 7. შექმნილი და გაუქმებული ანარიცხები, წმინდა

2018 წლის განმავლობაში ანარიცხებსა და რეზერვებში მოძრაობის ანალიზი ასეთია:

|                                                         | სავაჭრო<br>დებიტორული<br>დავალიანების<br>რეზერვი | გაცემული<br>სესხების რეზერვი | სულ          |
|---------------------------------------------------------|--------------------------------------------------|------------------------------|--------------|
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>                              | <b>2,581</b>                                     | <b>–</b>                     | <b>2,581</b> |
| შექმნილი ანარიცხები, წმინდა                             | 323                                              | –                            | 323          |
| <b>2017 წლის 31 იანვარი</b>                             | <b>2,904</b>                                     | <b>–</b>                     | <b>2,904</b> |
| ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის<br>მიღების ეფექტი | 223                                              | –                            | 223          |
| <b>2018 წლის 1 იანვარი</b>                              | <b>3,127</b>                                     | <b>–</b>                     | <b>3,127</b> |
| (შემობრუნებული)/შექმნილი ანარიცხები,<br>წმინდა          | (808)                                            | 930                          | 122          |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>                           | <b>2,319</b>                                     | <b>930</b>                   | <b>3,249</b> |

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა (მე-12 შენიშვნა).

#### 8. სხვა საოპერაციო ხარჯები

|                                                    | 2018         | 2017         |
|----------------------------------------------------|--------------|--------------|
| იჯარა (მე-19 შენიშვნა)                             | 1,699        | 1,211        |
| საინფორმაციო ტექნოლოგიების და ტექნიკური მხარდაჭერა | 724          | 716          |
| პროფესიული მომსახურება                             | 613          | 612          |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა            | 530          | 599          |
| კომუნალური მომსახურება და კავშირგაბმულობა          | 211          | 184          |
| სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები             | 143          | 88           |
| ბუნებრივი აირის სისტემის რეგულირების მოსაკრებელი   | 125          | 129          |
| დაცვა-უსაფრთხოება                                  | 124          | 95           |
| შეკეთება და ტექნიკური მომსახურება                  | 55           | 70           |
| სხვა                                               | 1,892        | 851          |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>                 | <b>6,116</b> | <b>4,555</b> |

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

| თვითღირებულება                      | მიწა       | მილსადენები   | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები და<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები<br>და ავეჯი | კომპიუტერები | სხვა       | დაუმთავრე-<br>ბელი<br>მშენებლობა | სულ           |
|-------------------------------------|------------|---------------|-----------------------|-------------------------------------------|-----------------------------------------|--------------|------------|----------------------------------|---------------|
| <b>ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის</b>    |            |               |                       |                                           |                                         |              |            |                                  |               |
| მდგომარეობით                        | 280        | 16,609        | 1,435                 | 523                                       | 197                                     | 162          | 162        | 363                              | 19,731        |
| შესყიდვები                          | –          | 20            | –                     | 2                                         | 593                                     | 21           | –          | –                                | 636           |
| გასვლები                            | –          | –             | –                     | (2)                                       | (7)                                     | (5)          | –          | (2)                              | (16)          |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის</b> | <b>280</b> | <b>16,629</b> | <b>1,435</b>          | <b>523</b>                                | <b>783</b>                              | <b>178</b>   | <b>162</b> | <b>361</b>                       | <b>20,351</b> |
| შესყიდვები                          | –          | 458           | –                     | 1,269                                     | 146                                     | 9            | 2          | –                                | 1884          |
| გასვლები                            | –          | –             | –                     | (1)                                       | (64)                                    | (6)          | –          | (83)                             | (154)         |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის</b> | <b>280</b> | <b>17,087</b> | <b>1,435</b>          | <b>1,791</b>                              | <b>865</b>                              | <b>181</b>   | <b>164</b> | <b>278</b>                       | <b>22,081</b> |
| <b>ცვეთა</b>                        |            |               |                       |                                           |                                         |              |            |                                  |               |
| <b>ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის</b>    |            |               |                       |                                           |                                         |              |            |                                  |               |
| მდგომარეობით                        | –          | 699           | 68                    | 65                                        | 86                                      | 48           | 34         | –                                | 1,000         |
| ცვეთა წლის განმავლობაში             | –          | 732           | 68                    | 85                                        | 91                                      | 52           | 41         | –                                | 1,069         |
| გასვლები                            | –          | –             | –                     | –                                         | (12)                                    | –            | –          | –                                | (12)          |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის</b> | <b>–</b>   | <b>1,431</b>  | <b>136</b>            | <b>150</b>                                | <b>165</b>                              | <b>100</b>   | <b>75</b>  | <b>–</b>                         | <b>2,057</b>  |
| ცვეთა წლის განმავლობაში             | –          | 707           | 65                    | 121                                       | 162                                     | 28           | 24         | –                                | 1,107         |
| გასვლები                            | –          | –             | –                     | (1)                                       | (19)                                    | (2)          | (0)        | –                                | (22)          |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის</b> | <b>–</b>   | <b>2,138</b>  | <b>201</b>            | <b>270</b>                                | <b>308</b>                              | <b>126</b>   | <b>99</b>  | <b>–</b>                         | <b>3,142</b>  |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>  |            |               |                       |                                           |                                         |              |            |                                  |               |
| <b>2017 წლის 31 დეკემბრის</b>       | <b>280</b> | <b>15,198</b> | <b>1,299</b>          | <b>373</b>                                | <b>618</b>                              | <b>78</b>    | <b>87</b>  | <b>361</b>                       | <b>18,294</b> |
| <b>2018 წლის 31 დეკემბრის</b>       | <b>280</b> | <b>14,949</b> | <b>1,234</b>          | <b>1,521</b>                              | <b>557</b>                              | <b>55</b>    | <b>65</b>  | <b>278</b>                       | <b>18,939</b> |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონკრეტული მილსადენებით უზრუნველყოფილია ადგილობრივი ბანკებიდან აღებული სესხები (მე-17 შენიშვნა).

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 10. არამატერიალური აქტივები

2018 წლის 31 დეკემბერს, არამატერიალური აქტივები მოიცავდა შემდეგს:

| თვითღირებულება                            | პროგრამული<br>უზრუნველყოფა | სხვა | სულ   |
|-------------------------------------------|----------------------------|------|-------|
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | 3,634                      | –    | 3,634 |
| შესყიდვები                                | –                          | 3    | 3     |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს              | 3,634                      | 3    | 3,637 |
| შესყიდვები                                | 292                        | –    | 292   |
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 3,926                      | 3    | 3,929 |
| <b>ამორტიზაცია</b>                        |                            |      |       |
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | 762                        | –    | 762   |
| წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია   | 544                        | 1    | 545   |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს              | 1,306                      | 1    | 1,307 |
| წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია   | 589                        | –    | 589   |
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1,895                      | 1    | 1,896 |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>        |                            |      |       |
| 2017 წლის 31 დეკემბერს                    | 2,328                      | 2    | 2,330 |
| 2018 წლის 31 დეკემბერს                    | 2,031                      | 2    | 2,033 |

#### 11. მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 50%-იან წილს შპს „ქართულ პლასტმასის მილებში“, რომელიც ინდუსტრიული პლასტმასის მილების წარმოებაშია ჩართული. დაფუძნდა მეკავშირე კომპანია, რომელიც ბიზნეს საქმიანობებს საქართველოში ეწევა. კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოში ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალ-მეთოდით აღირიცხება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მეკავშირე საწარმოში კომპანიის ინვესტიციის შესახებ ფინანსური ინფორმაცია:

|                                                   | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|---------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| მიმდინარე აქტივები                                | 1,591                     | 1,852                     |
| გრძელვადიანი აქტივები                             | 244                       | 292                       |
| მიმდინარე ვალდებულებები                           | (91)                      | –                         |
| <b>კაპიტალი</b>                                   | <b>1,744</b>              | <b>2,144</b>              |
| კომპანიის წილი კაპიტალში - 50% (2017 წ.: 50)      | 872                       | 1,072                     |
| <b>კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება</b> | <b>872</b>                | <b>1,072</b>              |

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება (გაგრძელება)

|                                                               | 2018         | 2017       |
|---------------------------------------------------------------|--------------|------------|
| შემოსავალი                                                    | 1,862        | 968        |
| მოგება                                                        | –            | 576        |
| <b>კომპანიის წილი წმინდა მოგებაში</b>                         | <b>–</b>     | <b>288</b> |
| გამოკლებული: მიღებული დივიდენდი                               | (200)        | (150)      |
| <b>წმინდა (კლება) ზრდა ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში</b> | <b>(200)</b> | <b>138</b> |

2018 წელს კომპანიამ მიიღო 200 ლარის (2017 წ.: 150 ლარი) ოდენობით დივიდენდი მისი ინვესტიციიდან მეკავშირე საწარმოებში. მეკავშირე საწარმოს არსებითი პირობითი ვალდებულებები ან კაპიტალური დაბანდების ვალდებულება არ ჰქონია 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია ასევე ფლობს 13,7%-ს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში სს „საქორგგაზი“, რომელშიც კომპანიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, და მას აღრიცხავს მეკავშირე საწარმოდ კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში. სს „საქორგგაზმა“ მოახდინა წინა რამდენიმე წლის წმინდა ზარალის გენერირება და ინვესტიციის ღირებულება სრულად გაუფასურებულია 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მეკავშირე საწარმოში კომპანიის ინვესტიციის შესახებ ფინანსური ინფორმაცია:

|                                                   | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|---------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| მიმდინარე აქტივები                                | 13,719                    | 8,398                     |
| გრძელვადიანი აქტივები                             | 112,464                   | 107,353                   |
| მიმდინარე ვალდებულებები                           | (64,518)                  | (120,864)                 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                        | (64,849)                  | (3,432)                   |
| <b>კაპიტალი</b>                                   | <b>(3,184)</b>            | <b>(8,545)</b>            |
| კომპანიის წილი კაპიტალში - 13.7% (2017 წ.: 13,7%) | (436)                     | (1,171)                   |
| <b>კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება</b> | <b>–</b>                  | <b>–</b>                  |

|                                                          | 2018     | 2017         |
|----------------------------------------------------------|----------|--------------|
| შემოსავალი                                               | 49,885   | 41,350       |
| (ზარალი)/მოგება                                          | (8,409)  | 10,449       |
| <b>კომპანიის წმინდა მოგების წილი - 13,7%</b>             | <b>–</b> | <b>1,432</b> |
| ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ზრდა (ა)               | 14,024   | –            |
| გამოკლებული: გაუფასურება (ბ)                             | (14,024) | (1,432)      |
| <b>ინვესტიციის საბალანსო ღირებულების წმინდა ცვლილება</b> | <b>–</b> | <b>–</b>     |

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 11. მკავშირე საწარმოებში ინვესტირება (გაგრძელება)

- (ა) 2018 წლის 1 თებერვალს კომპანიასა და სს „საქორგაზს“ შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება მთლიანი თანხით 70,000 ლარი, რამდენიმე ტრანშად. სესხზე ირიცხება წლიური 3%, ხოლო ძირითადი თანხის მთლიანი ოდენობა, დარიცხულ პროცენტთან ერთად 2021 წლის 1 თებერვალს უნდა დაიფაროს. სესხის ნომინალური პროცენტი სესხის გაცემისას მსგავსი სესხების საბაზრო განაკვეთზე დაბალი იყო. წარმოშობისას, გაცემული სესხი განისაზღვრა სესხის ფარგლებში მომავალი გადახდების დისკონტირების გზით, სესხის მოსალოდნელი დაფარვის ვადის საფუძველზე, მსგავსი სესხებისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სხვაობა სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის აღიარებულია ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ზრდის სახით. თუმცა, იმის გამო, რომ სს „საქორგაზმა“ წინა წლებში წმინდა ზარალი დააგენერირა და ნეგატიური კაპიტალი ჰქონდა, 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციის ღირებულება სრულად გაუფასურებულია.

#### 12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                                                           | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|---------------------------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| <b>რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება,<br/>გრძელვადიანი</b> |                           |                           |
| რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ა)                      | 563                       | 896                       |
|                                                                           | <b>563</b>                | <b>896</b>                |
| <b>მიმდინარე</b>                                                          |                           |                           |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ბ)                                        | 9,789                     | 60,287                    |
| სხვა დებიტორული დავალიანება (გ)                                           | 3,428                     | 8,881                     |
| რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება,<br>მიმდინარე ნაწილი (ა) | 524                       | 665                       |
| გამოკლებული: რეზერვი (მე-7 შენიშვნა)                                      | (2,319)                   | (2,904)                   |
|                                                                           | <b>11,422</b>             | <b>66,929</b>             |

#### (ა) რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

მომხმარებელთაგან ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების ხელშესაწყობად, კომპანია მათთან რესტრუქტურიზაციის შესახებ შეთანხმებებს აფორმებს. ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება გადანაწილდება მომავალ პერიოდებზე, თანაბარი ყოველთვიური გადახდებით. მომხმარებელთა რესტრუქტურიზებულ დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. ხელმძღვანელობის აზრით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციის შედეგად საგრძნობლად იცვლება არსებული ფინანსური აქტივის პირობები და ეს აღირიცხება, როგორც თავდაპირველი სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაფარვა და ახალი რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება. მისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ახალი ფინანსური აქტივის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კომერციული ბანკების მიერ მსგავსი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენის მიხედვით).

2018 წელს სავაჭრო დებიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციას ადგილი არ ჰქონია.

საპროცენტო შემოსავლებმა რესტრუქტურიზაციით დებიტორული დავალიანების დისკონტის ამორტიზაციიდან 2018 წელს 180 ლარი (2017 წ.: 217 ლარი) შეადგინა.

#### (ბ) სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება, გამოხატულია ლარში და ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, როგორც წესი, 30-დღიან ვადაში იფარება. მომხმარებლებს მიეცემა 30-დღიანი საშეღავათო პერიოდი და მათგან მისაღები ანგარიშები ვადაგადაცილებულად ჩაითვლება მინიმუმ 61 დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში.

#### (გ) სხვა დებიტორული დავალიანებები

სხვა დებიტორული დავალიანებები მოიცავს კომპანიის 2,668 ლარის ოდენობით (2017 წ.: 2,668 ლარი) მოთხოვნებს, ადგილობრივი კომერციული ბანკების მხრიდან. ეს დებიტორული დავალიანებები სრულად უზრუნველყოფილია, ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული.

760 ლარი წარმოადგენს მოთხოვნას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიმართ, 2018 წლის განმავლობაში გაწეული სხვა მომსახურებებისთვის (2017 წ.: 6,213 ლარი).

ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანებებში ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

|                                                                            | სულ           | 30 დღეზე<br>ნაკლები | 30-60 დღე | 60-90 დღე | 90 დღეზე მეტი |
|----------------------------------------------------------------------------|---------------|---------------------|-----------|-----------|---------------|
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალის განაკვეთი                                 | <b>16.21%</b> | 0.00%               | 2.18%     | 2.08%     | 72.22%        |
| მთლიანი შეფასებული<br>მოსალოდნელი<br>დეფოლტირებული<br>საბალანსო ღირებულება | <b>14,304</b> | 5,434               | 5,499     | 336       | 3,035         |
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალი                                            | <b>2,319</b>  | –                   | 120       | 7         | 2,192         |

ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანებებში ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

|                                                                            | სულ    | 30 დღეზე<br>ნაკლები | 30-60 დღე | 60-90 დღე | 90 დღეზე მეტი |
|----------------------------------------------------------------------------|--------|---------------------|-----------|-----------|---------------|
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალის განაკვეთი                                 | 4.11%  | 0.00%               | 1.19%     | 4.81%     | 4.42%         |
| მთლიანი შეფასებული<br>მოსალოდნელი<br>დეფოლტირებული საბალანსო<br>ღირებულება | 70,729 | 6,066               | 504       | 291       | 63,868        |
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალი                                            | 2,904  | 64                  | 6         | 14        | 2,820         |

ვადგადაცხადებული, მაგრამ არა გაუფასურებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთი ძირითადად შედგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - სს „საქორგაზის“ დავალიანებისგან. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით რისკები არ აქვს, რადგან საწარმოს საბოლოო მშობელი კომპანია აკონტროლებს, რომელსაც, თავის მხრივ, აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

მოძრაობა უიმედო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვში იხილეთ მე-7 შენიშვნაში.

#### 13. გადახდილი ავანსები

|                                        | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|----------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ავანსები ბუნებრივი აირის შესყიდვისთვის | 95                        | 5,306                     |
| სულ გადახდილი ავანსები                 | –                         | 283                       |
|                                        | <b>95</b>                 | <b>5,589</b>              |

#### 14. გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მეკავშირე საწარმოს სს „საქორგაზის“ ვალდებულებას, 60,604 ლარის (2017 წ.: 5,287 ლარი) ოდენობით. 2018 წლის 1 თებერვალს, კომპანიასა და სს „საქორგაზს“ შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება 70,000 ლარის ოდენობით რამდენიმე ტრანშად. სესხზე ირიცხება 3%-იანი საპროცენტო განაკვეთი და ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის მთლიანი თანხის დაფარვის ვადაა 2021 წლის 1 თებერვალი.

ხელმძღვანელობის მსჯელობის საფუძველზე, სესხის ნომინალური პროცენტი საბაზრო განაკვეთზე დაბალი იყო, შესაბამისად, სესხის თითოეული ტრანში განცალკევებულად აღირიცხება და მისი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. 14,025 ლარიანი სხვაობა სესხის სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის აღიარებულია მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის ზრდად. სესხზე დარიცხულმა წლიურმა ეფექტურმა საპროცენტო განაკვეთმა 9,98% შეადგინა 2018 წელს. შესაბამისი საპროცენტო შემოსავალი 5,647 ლარი (2017 წ.: 362) იყო.

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან 1,819 ლარის ოდენობით (2017 წ.: 2,129 ლარი), რომლებიც განთავსებულია არასაპროცენტო მიმდინარე ანგარიშებზე ქართულ ბანკებში.

#### 16. კაპიტალი

##### საწესდებო კაპიტალი

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 39,382 ლარია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებით 10 აშშ დოლარი.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიის

|                         | 2018 წლის 31 დეკემბერი |                          | 2017 წლის 31 დეკემბერი |                          |
|-------------------------|------------------------|--------------------------|------------------------|--------------------------|
|                         | აქციების<br>რაოდენობა  | აქციების<br>პროცენტულობა | აქციების<br>რაოდენობა  | აქციების<br>პროცენტულობა |
| Alphard Gas Holding B.V | 1,971,694              | 100.00%                  | 1,971,694              | 100.00%                  |
| სულ                     | <b>1,971,694</b>       | <b>100.00%</b>           | <b>1,971,694</b>       | <b>100.00%</b>           |

##### გადაუხდელი კაპიტალი

2015 წლის 9 თებერვალს, კომპანიის აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალში 17,950 ათასი აშშ დოლარის (36,451 ლარი) ოდენობით შენატანის განხორციელების შესახებ. მშობელმა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება დებიტორული დავალიანების და კომპანიისგან მისაღები დივიდენდების კონვერტირების შესახებ, წმინდა საბალანსო ღირებულებით 32,931 ლარი, გამოშვებული აქციების სანაცვლოდ. სხვაობა გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას და კაპიტალად კონვერტირებული ანგარიშების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის 3,520 ლარის ოდენობით, დაუფარავ კაპიტალში აღიარდა.

##### დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი უკავშირდება სხვაობას კომპანიის მიერ მშობელი კომპანიიდან აღებული სესხების ფარგლებში მიღებულ თანხებს და მათ სამართლიან ღირებულებას და მფლობელების მიერ ზედმეტად შეტანილ ფულად სახსრებს შორის, აქციების ნომინალური ღირებულებით.

სესხის ნომინალური პროცენტი მსგავსი სესხებისთვის საბაზრო განაკვეთზე ქვემოთ იყო, სესხის გაცემის დროს. სესხების გაცემისას ან პირობების არსებითი მოდიფიკაციის დროს, მათი სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მათ დასაფარად სამომავლო შენატანების დისკონტირებით სესხის მოსალოდნელი ვადისა და ანალოგიური სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სხვაობა სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის აღიარებულია დამატებით შეტანილ კაპიტალში.

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. სესხები

|                          |               | 2018 წლის    |               | 2017 წლის    |
|--------------------------|---------------|--------------|---------------|--------------|
|                          | დაფარვის ვადა | 31 დეკემბერი | დაფარვის ვადა | 31 დეკემბერი |
| მიმდინარე                |               |              |               |              |
|                          | 2019 წლის     |              | 2018 წლის     |              |
| ქართული კომერციული ბანკი | 1 თებერვალი   | 2,045        | 31 იანვარი    | 4,322        |
|                          | 2019 წლის     |              | 2018 წლის     |              |
| ქართული კომერციული ბანკი | 1 იანვარი     | 1,550        | 15 დეკემბერი  | 4,350        |
|                          | 2019 წლის     |              | 2018 წლის     |              |
| ქართული კომერციული ბანკი | 13 დეკემბერი  | 4,320        | 15 დეკემბერი  | 1,422        |
|                          | -             | -            | 2018 წლის     |              |
| ქართული კომერციული ბანკი |               |              | 25 იანვარი    | 3,007        |
|                          |               | 7,915        |               | 13,101       |

ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხების მიზანია კომპანიის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის დაფინანსება. ყველა სესხი ლარშია გამოხატული. 2018 წელს სესხის საპროცენტო ხარჯი შეადგენდა 1,271 ლარს (2017 წ.: 1,828 ლარი).

ადგილობრივ ბანკებთან გაფორმებული გარკვეული სასესხო ხელშეკრულებები კომპანიას ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. 2018 წლის განმავლობაში კომპანია არღვევდა ამ სესხებთან დაკავშირებით ნაკისრ რამდენიმე ვალდებულებას. კომპანიამ ბანკებისგან მიიღო მოთხოვნის უფლების დათმობის წერილები, რითაც ბანკები თმობენ სესხის პირობების დარღვევის გამო დავალიანების დაფარვის ვადამდე გადახდის მოთხოვნის უფლებას.

18. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

|                                                                                  | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|----------------------------------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება (ა) | 6,172                     | 3,538                     |
| სხვა დავალიანება                                                                 | 1,626                     | 413                       |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b>                               | <b>7,798</b>              | <b>3,951</b>              |

(ა) გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

ზემოაღნიშნული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო პირობებია:

- ▶ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ძირითადად ლარშია გამოხატული;
- ▶ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ძირითადად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებობს. ამ დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ვადაგადაცილებულია. სავაჭრო ანგარიშების ვადაგადაცილების დაშვება საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კომპანიის დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმია.

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

##### მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან და ასევე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, გაცემულ სესხებს და ფულად სახსრებს.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანია მიეკუთვნება კომპანიების დიდ ჯგუფს, რომელსაც აკონტროლებს „სოკარი“. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება „სოკარის“ მიერ რეგიონალურ და ქვეყნის დონეზე. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

##### (ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები და რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთი შედგება იმ აბონენტებისგან მისაღები ანგარიშებისგან, რომლებსაც კომპანია ბუნებრივ გაზს აწვდის. კომპანია საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ მომხმარებელთა ქსელიდან დროული გათიშვით, რომლებიც არ იხდიან ელექტროენერგიის დავალიანებას, მაგრამ კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებელი არ იქნება დროულად გათიშული. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა კონსერვატიული დარეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

##### (ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა იყო:

|                                                                                       | საბალანსო ღირებულება      |                           |
|---------------------------------------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
|                                                                                       | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა).                              | 11,508                    | 66,929                    |
| რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებები<br>(გრძელვადიანი) (მე-12 შენიშვნა) | 563                       | 896                       |
| ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (მე-15 შენიშვნა)                                             | 1,819                     | 2,129                     |
| გაცემული სესხები (მე-14 შენიშვნა)                                                     | 60,604                    | 5,287                     |
|                                                                                       | <b>74,494</b>             | <b>75,241</b>             |

##### (ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. კომპანიას მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს, ამიტომ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს კომპანიას საკმარის მოქნილობას ვალდებულებების დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია მომავალში ბიზნესის საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვადები, პროცენტის სავარაუდო გადახდების ჩათვლით. არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების მიხედვით ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

|                                                             | საბალანსო<br>ლირებულება | სახელშეკრუ-<br>ლებო<br>ფულადი<br>ნაკადები | 1 წელზე<br>ნაკლები | 1-დან<br>5 წლამდე |
|-------------------------------------------------------------|-------------------------|-------------------------------------------|--------------------|-------------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>                               |                         |                                           |                    |                   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                              |                         |                                           |                    |                   |
| სესხები და გადასახდელი ანგარიშები<br>(მე-17 შენიშვნა)       | 7,915                   | 8,523                                     | 8,523              | –                 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული<br>დავალიანება (მე-18 შენიშვნა) | 7,798                   | 7,798                                     | 7,798              | –                 |
|                                                             | <b>15,713</b>           | <b>16,321</b>                             | <b>16,321</b>      | <b>–</b>          |

|                                                             | საბალანსო<br>ლირებულება | სახელშეკრუ-<br>ლებო<br>ფულადი<br>ნაკადები | 1 წელზე<br>ნაკლები | 1-დან<br>5 წლამდე |
|-------------------------------------------------------------|-------------------------|-------------------------------------------|--------------------|-------------------|
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>                               |                         |                                           |                    |                   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                              |                         |                                           |                    |                   |
| სესხები და გადასახდელი ანგარიშები<br>(მე-17 შენიშვნა)       | 13,101                  | 13,928                                    | 13,928             | –                 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული<br>დავალიანება (მე-18 შენიშვნა) | 3,951                   | 3,951                                     | 3,951              | –                 |
|                                                             | <b>17,052</b>           | <b>17,879</b>                             | <b>17,879</b>      | <b>–</b>          |

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანიას არ ემუქრება, ვინაიდან 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სესხები და გადასახდელი ანგარიშები ხასიათდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკი მოქმედებს, არის სესხები და გადასახდელი ანგარიშები, სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და მიმდინარე ანგარიშები ბანკებში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზები მოცემულია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

##### (გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

##### *სავალუტო რისკზე დამოკიდებულება*

კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების უმრავლესობა ლარშია გამოხატული, შესაბამისად, უცხოური ვალუტის მერყეობებს არსებითი გავლენა არ ჰქონია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

##### (დ) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც განსაზღვრულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც ფასდება 1-ლი დონით.

##### (ე) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მისი ზოგადი მიზანია კაპიტალის დადებითი პოზიციის შექმნა საშუალო პერიოდში (1-დან 3 წლამდე).

კომპანიამ განიცადა წმინდა ზარალი 3,250 ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის და ამავე თარიღისთვის კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები 3,343 ლარით აღემატებოდა მიმდინარე აქტივებს. მიმდინარე ვალდებულებების ძირითადი კომპონენტია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანებები. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა მიმდინარე პოზიცია მესამე მხარეების მიმართ დადებითი იყო და შეადგენდა 1,138 ლარს.

ხელმძღვანელობამ წერილი მიიღო საბოლოო მშობელი კომპანიისგან იმის შესახებ, რომ ის აკონტროლებს კომპანიას და დაგეგმილი აქვს და შესწევს უნარი სათანადო დახმარება გაუწიოს მას მისი, როგორც დამფუძნებლის ვალდებულებების ფარგლებში, რათა კომპანიას დაეხმაროს ნორმალური ფუნქციონირების გაგრძელებაში 2020 წლის 27 დეკემბრამდე.

## კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

##### (ე) კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მომზადების საფუძველი ახდენს დაშვებას, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო არ მოითხოვს მიმდინარე ვალდებულებების გადახდას, მინიმუმ, 2020 წლის 27 დეკემბრამდე, თუ ეს კომპანიას ზიანს მიაყენებს.

#### 20. პირობითი ვალდებულებები

##### (ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

კომპანიას შექმნილი აქვს ანარიცხები ხელმძღვანელობის მაქსიმალურად ზუსტ პროგნოზებზე დაყრდნობით. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ გარიგებებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობების ინტერპრეტაციები შეიძლება ექვემდებარებოდეს დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც საქართველოს შემოსავლების სამსახურმა შეიძლება ექვემდებარებოდეს დააყენოს. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, კომპანია ქმნის შესაბამის ანარიცხებს. ხელმძღვანელობის შეფასებით, საგადასახადო რისკი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ანარიცხების შექმნისთვის საჭირო კრიტერიუმებს, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის არსებითი.

##### (ბ) იჯარა - კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას სათავო ოფისი და გაზგასამართი სადგურები სარგებლობაში აღებული აქვს იჯარით. სათავო ოფისის იჯარის ხელშეკრულება ძალაშია ერთი წლის განმავლობაში. გაზგასამართი სადგურების იჯარის ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 1-დან 10 წლამდე მერყეობს.

ეს ხელშეკრულებები კომპანიას არანაირ შეზღუდვებს არ უწესებს.

ამ შეთანხმების მიხედვით, მომავალში მინიმალური გადასახდელებია:

|                                               | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|-----------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ერთი წლის განმავლობაში                        | 1,516                     | 1,449                     |
| ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა | 2,254                     | 3,236                     |
| 5 წელზე მეტი ხნის შემდეგ                      | 1,062                     | 1,955                     |
|                                               | <b>4,832</b>              | <b>6,640</b>              |

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(გ) იჯარა - კომპანია, როგორც მფლობელი

კომპანია იჯარით გასცემს მიწსადაცენებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიაზე სს „სოკარ ჯორჯია გაზი“. ხელშეკრულებების საშუალო ვადაა ერთი წელი.

ამ შეთანხმების მიხედვით, მომავალში მინიმალური დებიტორული დავალიანებებია:

|                        | 2018 წლის<br>31 დეკემბერი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|------------------------|---------------------------|---------------------------|
| ერთი წლის განმავლობაში | 2,928                     | 2,928                     |
|                        | <b>2,928</b>              | <b>2,928</b>              |

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი 2018 წელს 4 პირისგან შედგებოდა (2017 წ.: 4). 2018 წელს მათ მიერ მიღებული ანაზღაურების ჯამი 264 ლარს (2017 წ.: 361 ლარი) შეადგენდა და მოიცავდა ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელს.

(ბ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ.

(i) შეძენილი ბუნებრივი აირის თვითღირებულება

| ბუნებრივი აირის შეძენა<br>საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული<br>საწარმოებისგან | შესყიდვები<br>დაკავშირებული<br>მხარეებისგან<br>2018 წლის<br>განმავლობაში | შესყიდვები<br>დაკავშირებული<br>მხარეებისგან<br>2017 წლის<br>განმავლობაში | ვალდებულებები<br>დაკავშირებული<br>მხარეების მიმართ<br>2018 წლის 31<br>დეკემბრისთვის | ვალდებულებები<br>დაკავშირებული<br>მხარეების მიმართ<br>2017 წლის 31<br>დეკემბრისთვის |
|---------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|
| შპს „სოკარის გაზის ექსპორტ-<br>იმპორტი“                                         | 12,518                                                                   | 13,456                                                                   | 5,682                                                                               | 2,429                                                                               |
| შპს „სოკარ ჯორჯია გაზი,“                                                        | 37,485                                                                   | 39,133                                                                   | 1,163                                                                               | –                                                                                   |
| შპს „სოკარ ჯორჯია გაზის<br>მიწოდება“                                            | –                                                                        | –                                                                        | –                                                                                   | 726                                                                                 |
|                                                                                 | <b>50,003</b>                                                            | <b>52,589</b>                                                            | <b>6,845</b>                                                                        | <b>3,155</b>                                                                        |

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ბ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ii) შემოსავალი

| შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირებისგან | გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე 2018 წლის განმავლობაში | გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე 2018 წლის განმავლობაში | დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები 2017 წლის 31 დეკემბრისთვის |
|--------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|
| სს „საქორგაზი“                                         | 2,846                                                   | 1,129                                                   | 1,688                                                                  | 48,615                                                                 |
| შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“                                | 1,050                                                   | 1,033                                                   | 759                                                                    | 14,074                                                                 |
| შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“                          | 9                                                       | 21                                                      | 1                                                                      | 1                                                                      |
| შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“                              | 5                                                       | 6                                                       | –                                                                      | –                                                                      |
|                                                        | <b>3,910</b>                                            | <b>2,189</b>                                            | <b>2,448</b>                                                           | <b>62,690</b>                                                          |

(iii) სხვა საოპერაციო ხარჯები

| სხვა შესყიდვები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან      | დაკავშირებული მხარეების მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურება | დაკავშირებული მხარეების მიერ 2017 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურება | დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები 2017 წლის 31 დეკემბრისთვის |
|----------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|
| აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში | 449                                                                     | 324                                                                     | 45                                                                         | –                                                                          |
| შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“                                            | 203                                                                     | 203                                                                     | 20                                                                         | –                                                                          |
| შპს "სოკარ ჯორჯია სიქიურითი"                                         | 69                                                                      | 69                                                                      | –                                                                          | –                                                                          |
| შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"                                        | 171                                                                     | 1                                                                       | 19                                                                         | –                                                                          |
| სს „საქორგაზი“                                                       | 1                                                                       | 1                                                                       | –                                                                          | –                                                                          |
|                                                                      | <b>893</b>                                                              | <b>598</b>                                                              | <b>84</b>                                                                  | <b>–</b>                                                                   |

(iv) გაცემული სესხები

გაცემული სესხები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს, სს „საქორგაზი“ გაცემულ სესხს (მე-14 შენიშვნა).

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

|                                                             | 2018 წლის<br>1 იანვარი | მიღებული<br>ძირითადი<br>თანხა | გადახდილი<br>ძირითადი<br>თანხა | ფინანსურ<br>საქმიანობაზე<br>გაწეული<br>დანახარჯები | გადახდილი<br>პროცენტი | 2018 წლის<br>31 დეკემბერი |
|-------------------------------------------------------------|------------------------|-------------------------------|--------------------------------|----------------------------------------------------|-----------------------|---------------------------|
| სესხები                                                     | 13,101                 | 11,309                        | (16,395)                       | 1,271                                              | (1,371)               | 7,915                     |
| სულ ფინანსური<br>საქმიანობიდან<br>მიღებული<br>ვალდებულებები | <b>13,101</b>          | <b>11,309</b>                 | <b>(16,395)</b>                | <b>1,271</b>                                       | <b>(1,371)</b>        | <b>7,915</b>              |

|                                                             | 2017 წლის<br>1 იანვარი | მიღებული<br>ძირითადი<br>თანხა | გადახდილი<br>ძირითადი<br>თანხა | ფინანსურ<br>საქმიანობაზე<br>გაწეული<br>დანახარჯები | გადახდილი<br>პროცენტი | 2017 წლის<br>31 დეკემბერი |
|-------------------------------------------------------------|------------------------|-------------------------------|--------------------------------|----------------------------------------------------|-----------------------|---------------------------|
| სესხები                                                     | 12,195                 | 7,217                         | (6,466)                        | 1,828                                              | (1,673)               | 13,101                    |
| სულ ფინანსური<br>საქმიანობიდან<br>მიღებული<br>ვალდებულებები | <b>12,195</b>          | <b>7,217</b>                  | <b>(6,466)</b>                 | <b>1,828</b>                                       | <b>(1,673)</b>        | <b>13,101</b>             |

23. აუდიტორის გასამრჯელო

კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2018 და 2017 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

|                                                                                 | 2018       | 2017       |
|---------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი                                         | 28         | 26         |
| 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის<br>სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები | 173        | 176        |
| <b>სულ გასამრჯელო და დანახარჯები</b>                                            | <b>201</b> | <b>202</b> |

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2019 წლის 12 ივლისს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

# მმართველობითი ანგარიშგება

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს  
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული  
ანგარიში**

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას,

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 12 ივლისს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 22 აგვისტო

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას,

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 12 ივლისს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 22 აგვისტო

## სარჩევი

|                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------|----|
| 1. საქმიანობის მიმოხილვა .....                                              | 3  |
| 2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ .....                | 4  |
| 3. ორგანიზაციული სტრუქტურა .....                                            | 4  |
| 4. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტების ანალიზი .....                         | 4  |
| 5. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები .....          | 5  |
| 6. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა .....                             | 6  |
| 7. კომპანიის განვითარების გეგმები .....                                     | 8  |
| 8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები .....                                 | 9  |
| 9. ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები .....                                | 9  |
| 10. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა ... | 11 |
| 11. გამოყენებული მასალები .....                                             | 11 |



## საქმიანობის მიმოხილვა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR), საქართველოს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორში 2006 წლიდან საქმიანობს.

საქართველოში კომპანია „SOCAR“-ის აფილირებული კომპანიები გაზის სექტორში არიან შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“ და სს „საქორგაზი“, შემდგომში ერთობლივად წოდებული - „სოკარ გაზი“-ს ჯგუფი.

2013 წლის მაისში კომპანია სს „იტერა საქართველოს“ შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“-ი. სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა.

კომპანია კომერციული გაზის შესყიდვას ახორციელებს შპს „სოკარ ჯორჯია გაზისგან“ (დაახლოებით 95%) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან“ (დაახლოებით 5%), ხოლო სოციალური გაზის შესყიდვას შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტისგან“.

კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელია Alphard Gas Holdings B.V, რომელიც თავის მხრივ კონტროლდება Cooperatief Menkent UA-ის მიერ და რეგისტრირებულია ნიდერლანდების სამეფოში, ხოლო საბოლოო მფლობელი არის SOCAR-ი.

2018 წლის მდგომარეობით სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენს“ ჰყავს 110 მომხმარებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი, სტანდარტიზებული, ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები. მომხმარებლები იყოფიან მათი საქმიანობის მიმართულებების მიხედვით:

- გამანაწილებელი კომპანიები - 13 კომპანია
- კომერციული აბონენტები - 51 კომპანია
- ავტო გაზგასამართი სადგურები - 46 კომპანია

გარდა აღნიშნული მომხმარებლებიდან მიღებული შემოსავლისა, კომპანიის დამატებით შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ძირითად საშუალებებში ჩადებული ინვესტიციისგან მიღებული შემოსავლები, კერძოდ:

- ბილინგის პროგრამით მომსახურება
- დოკუმენტრუნვის პროგრამით მომსახურება
- მილსადენების იჯარა
- ავტო გაზგასამართი სადგურების ფუნქციონირება
- ვირტუალური გაზსადენის საშუალებით კომერციული მომხმარებლების ბუნებრივი აირით მომარაგება, რაშიც იგულისხმება ისეთი მომხმარებლების მომარაგება ბუნებრივი აირით, რომლებიც მიერთებულნი არ არიან ტრანსპორტირების ქსელზე.

## ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“ არ საჭიროებს ფილიალებს და შესაბამისად, მას ფილიალები არ გააჩნია.

## ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად შეესაბამება კომპანიის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მის მიზნებს. იქიდან გამომდინარე, რომ სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“-ს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბუნებრივი გაზის საბითუმო და საცალო რეალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიებით მომსახურება და ინოვაციური პროექტების განხორციელება საქართველოს მასშტაბით, სტრუქტურაში შემავალი თითოეული რგოლი პასუხისმგებელია ტექნიკური, ტექნოლოგიური თუ იურიდიული რისკების მართვაზე, რაც გულისხმობს საჭირო კადრების სწორად შერჩევას, ასევე მყისიერ რეაგირებას შექმნილ თუ პოტენციურ საფრთხეებსა და პრობლემებზე.

კომპანიის მართვა ხორციელდება ვერტიკალური სტრუქტურით, რასაც ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც დაქვემდებარებაში ჰყავს მოადგილეები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ პასუხისმგებლობაში არსებული საკითხების მართვას.

სტრუქტურის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ სხვადასხვა საკითხებში დირექტორის მრჩეველები/კონსულტანტები, რადგან სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს თანამედროვე, ინოვაციური პროექტების დანერგვა საქართველოში, რომელიც საჭიროებს გამართული მართვის სისტემას.

## სამოქმედო ბაზრები და კონკურენტების ანალიზი

ბუნებრივი გაზი საქართველოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი ენერგიის წყაროა, რომლის მეშვეობით კმაყოფილდება საქართველოში ენერგიის მნიშვნელოვანი წილი.

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ მომხმარებელთა მიერ ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა 2018 წელს სექტორების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

- კომერციული მოხმარება შემცირდა 6%-ით
- გამანაწილებელი კომპანიების მიერ სოციალური მოხმარება გაიზარდა 61%-ით
- გამანაწილებელი კომპანიების მიერ კომერციული მოხმარება შემცირდა 17%-ით
- აგგს-ს მოხმარება შემცირდა 9%-ით

საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის უმთავრესი მომწოდებელი აზერბაიჯანია, საიდანაც ქვეყანა იღებს მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ბუნებრივ გაზს. სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ მიერ სოციალური გაზი სრულად შეძენილი არის შპს „სოკარ

გაზ ექსპორტ-იმპორტისგან“, კომერციული გაზის 95,6% შპს „სოკარ ჯორჯია გაზიდან“, ხოლო 4,4% სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“.

კომპანია ცდილობს განავითაროს ახალი მიმართულებები და მოიძიოს გაზის რეალიზაციის ახალი არეალი. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს იმ მომხმარებლების მომარაგება ბუნებრივი აირით, რომელთა ფუნქციონირების არეალში მიმდინარე ეტაპზე არ არის მიყვანილი გაზის მილსადენი; აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია როგორც სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენისთვის“, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

### **კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა 71 499 000 ლარი. აქტივების ჯამური ღირებულება 2018 წლის ბოლოს შეადგენდა 97 167 000 ლარს, ხოლო 2017 წელს - 102 534 000 ლარს. კომპანიის მთლიანი აქტივების 19%-ს წარმოადგენს გაზსადენები და სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა საშუალებითაც კომპანია ახორციელებს თავის ძირითად საქმიანობას. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება 39 382 000 ლარის სააქციო კაპიტალისგან და 1 085 000 ლარის დამატებითი კაპიტალისგან. 2018 წელს კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეადგენდა 71 991 000 ლარს. კომპანიის EBITDA 2018 წელს იყო 283 000 ლარი ზარალი.

### **კომპანიის მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები**

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ მიერ დაარსებიდან 2018 წლის ჩათვლით გადახდილი გადასახადები ასე გამოიყურება:

| წელი       | ბიუჯეტში<br>გადახდილი<br>თანხა |
|------------|--------------------------------|
| 2008       | 2,776,466                      |
| 2009       | 3,541,085                      |
| 2010       | 629,919                        |
| 2011       | 3,774,060                      |
| 2012       | 4,049,089                      |
| 2013       | 1,961,909                      |
| 2014       | 4,439,529                      |
| 2015       | 4,620,013                      |
| 2016       | 2,556,889                      |
| 2017       | 2,646,448                      |
| 2018       | 3,175,163                      |
| <b>სულ</b> | <b>34,170,568</b>              |

## საკადრო პოლიტიკა

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენს“ 2018 წლის ბოლოს ჰყავდა 60 თანამშრომელი. კომპანია უზრუნველყოფს თავისი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას. ასევე, თანამშრომელთა წახალისების მიზნით, კომპანია იყენებს ბონუს სისტემას ინდივიდუალური შედეგების მიხედვით. დიდი ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოების მიმართულებას, რა კუთხითაც კომპანია გეგმავს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას.

## კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდობის მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან და ასევე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, გაცემულ სესხებსა და ფულად სახსრებს.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანია მიეკუთვნება კომპანიების დიდ ჯგუფს, რომელსაც „სოკარი“ აკონტროლებს. ფინანსური რისკების უმეტესობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს „სოკარი“ რეგიონების და ქვეყნების დონეზე. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

## კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

„სოკარის“, როგორც ჯგუფის, ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანებსა და გარემოზე ზრუნვაა. ჯგუფის სოციალური აქტივობები მოიცავს კულტურულ, სპორტულ, ინფრასტრუქტურულ და საქველმოქმედო პროექტებს.

## გარემოზე ზრუნვა

რეგიონებში ინტენსიური გაზიფიცირებების დაწყებამდე ხდებოდა ხეების უკონტროლო ჭრა, რაც ამძიმებდა ეკოლოგიურ ფონს. გაზიფიცირება ხელს უწყობს ტყის საფარის შენარჩუნებას და დადებითად მოქმედებს ეკოსისტემაზე. კომპანიის გათვლებით, ინტენსიურმა გაზიფიკაციამ წელიწადში დაახლოებით 1 000 000 ხე გადაარჩინა მოჭრას. კვლევის მიხედვით, ეს ფაქტი მომხმარებლების სრულ უმრავლესობას სიმპათიით განაწყობს „სოკარის“ მიმართ.

ამავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობა დადებითად აფასებს „სოკარს“ და აზერბაიჯანს, როგორც სტაბილურ პარტნიორს, რომელმაც ენერგოკრიზისის დროს გამოიყვანა საქართველო მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან.

„სოკარის“ ჯგუფის მიერ განხორციელებული სხვა სოციალური პროექტები:

### კულტურა

„სოკარისა“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მჭიდრო და ხანგრძლივი თანამშრომლობით მრავალი პროექტი შეიქმნა. კომპანია დიდ ინვესტიციებს დებს კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციაში და მხარს უჭერს სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალს. აღსანიშნავი პროექტებია:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და „სოკარმა“ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც „სოკარი“ CHECK IN GEORGIA-ს პარტნიორი გახდა.
- „სოკარი“ არის ელექტრონული მუსიკის ფესტივალების 4GB-ის და OPEN AIR-ის მხარდამჭერი.
- 2012 წელს მარნეულში „სოკარის“ მხარდაჭერით გაიხსნა სასწავლო ცენტრის შენობა-ჩაის სახლი. სასწავლო ცენტრში მარნეულის, ბოლნისის, გარდაბანისა და დმანისის რაიონების ახალგაზრდებს ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენას უფასოდ შეასწავლიან. სასწავლო ცენტრში არის ასევე ჭადრაკის, ცეკვისა და ხალიჩების ქსოვის კურსები.
- სოკარის წარმომადგენლობის დაფინანსებით განხორციელდა გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლის, დრამატურგის, განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის, მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმისა და სამხატვრო გალერეის მშენებლობა-რესტავრაცია თბილისში. კულტურის კომპლექსს ახუნდოვ ჰაუსს წილად ხვდა საუკეთესო საზოგადოებრივი ნაგებობის წოდება.
- „სოკარი“ არის ინტელექტ-შოუ „რა? სად? როდის?“ სპონსორი.

### სპორტი

„სოკარი“ უკვე 12 წელია მხარს უჭერს ქართულ სპორტს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში. კომპანია არის საქართველოს რაგბისა და ფეხბურთის ახალგაზრდული ნაკრებების, ასევე ჭადრაკის ფედერაციის ოფიციალური სპონსორი. კერძოდ:

- საქართველოს რაგბის U20 ნაკრების სპონსორი.
- უეფას ოფიციალური პარტნიორი და ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის სპონსორი.
- საქართველოს ფეხბურთის U19 ნაკრების სპონსორი.
- საქართველოში ჭადრაკის ფედერაციის გენერალური სპონსორი.

## ინფრასტრუქტურა

კომპანიას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებაში. „სოკარმა“ შექმნა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი არქიტექტურული ნაგებობები და სტრატეგიული მნიშვნელობის კომპლექსები, კერძოდ:

- რუის-ურბნისის მრავალფუნქციური კომპლექსი.
- სოკარისა მულტიფუნქციური კომპლექსი თბილისი-რუსთავის გზაზე.
- სოკარისა და მაკდონალდსის ერთობლივი ობიექტი ბათუმში.
- ჰეიდარ ალიევის სახელობის პარკები და რეკრეაციული ზონები თბილისსა და რუსთავში.

## ქველმოქმედება

„სოკარი“ ზრუნავს ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე და განათლების დონის ამაღლებაზე. წლების მანძილზე კომპანია აღიარებულია, როგორც სოციალური პროექტების უმსხვილესი ინვესტორი და ახორციელებს შემდეგ საქველმოქმედო ღონისძიებებს:

- ბუნებრივი აირი სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებსა და ბავშვთა სახლებს.
- ბუნებრივი აირი ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობას.
- ბუნებრივი აირი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ყველა ობიექტს.
- სტუდენტების სწავლის დაფინანსება.
- საქველმოქმედო ფონდის - ნატურის ხე - გენერალური სპონსორობა. ფონდი 2014 წლიდან აფინანსებს ბავშვების მკურნალობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

## კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია მუდმივად ცდილობს განავითაროს ახალი მიმართულებები, რაც ხელს შეუწყობს ბუნებრივი გაზის მოხმარების ზრდას. კერძოდ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის, არაგაზიფიცირებულ რეგიონებში მომხმარებლების ბუნებრივი გაზით მომარაგება სპეციალური გადამზიდი საშუალებებით. ამ მიმართულებით კომპანია თანამშრომლობს ამერიკულ-გერმანული კომპანია HEXAGON X-perion-თან, რომელიც ლიდერია ბუნებრივი გაზის გადამზიდი საშუალებების წარმოებაში.

სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ მიზანია დააკმაყოფილოს ბაზარზე არსებული პირდაპირი მომხმარებლები მათთვის საჭირო ბუნებრივი აირით, შექმნას ხელსაყრელი და თითოეულ მომხმარებელზე მორგებული ანაზღაურებისა და მიწოდების პირობები, რითიც ხელს შეუწყობს როგორც მომხმარებელთა კმაყოფილებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის შენარჩუნება/გაუმჯობესებას.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიას ამ ეტაპზე საკმაოდ მყარი პოზიცია უჭირავს ბაზარზე, კერძოდ, მას აქვს რამდენიმე უპირატესობა, რომელიც განაპირობებს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში მის სტაბილურ ფუნქციონირებას და მომავალ განვითარებას, მათ შორისაა: რეგიონალურ გაზის მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება და კომპეტენცია, ავტორიტეტული და ძლიერი აქციონერი (აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია), თითოეულ მომხმარებელზე მორგებული სისტემა, ინოვაციური პროექტები და სტაბილური და პროფესიონალი საკადრო სტრუქტურა. ზემოთხსენებული ფაქტორები ქმნის შესაძლებლობას, რომ კომპანია მომავალში კიდევ უფრო განვითარდეს.

საფრთხეებსა და რისკებში მოიაზრება ბუნებრივი გაზის საცალო რეალიზაციის მაჩვენებლის შემცირება, რაც გამოიხატება ავტო გაზგასამართი სადგურების რეალიზაციის შემცირებაში, რაც დაფიქსირდა 2018 წელს. ეს გამოწვეულია როგორც ჰიბრიდული და ელექტრო ავტომანქანების პოპულარიზაციით, ასევე თხევად გაზზე განსხვავებული აქციით, რაც შესაბამისად საბოლოო რეალიზაციის ფასზე მოქმედებს.

## ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები

### **პოლიტიკური ფაქტორები:**

- აზერბაიჯანისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ განვითარების და ბაზარზე მყარი პოზიციის გარანტიაა. პოლიტიკური ცვლილებები როგორც წესი, გავლენას არ ახდენს „სოკარზე“, რადგან აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობები სტაბილურია.
- ბოლო წლებში მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების ფონზე ბაზარი უფრო დაცული გახდა გაზის ტარიფთან დაკავშირებული პოლიტიკური სპეკულაციებისგან, რადგან ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- რეგიონის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური არასტაბილურობაც, რაც ასევე აისახება ენერგეტიკაზე.
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - ამ ხელშეკრულების პირობებმა შესაძლოა ენერგეტიკული ბაზრის ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვიოს რეგულირებისა და კანონმდებლობის კუთხით.
- ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და მასზე მიბმული ენერგიის მოხმარების ზრდა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიის შემოსავლის ზრდაში.
- სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ინტენსივობა და მოცულობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოხმარების მაჩვენებელზე, რადგან კომერციული მომხმარებლების მნიშვნელოვანი წილი მოდის საგზაო და სამშენებლო მასალების კომპანიებზე.

- მაღალმთიანი ტურიზმის განვითარება ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ შემოსავლის ზრდისთვის, რადგან კომპანიის ინოვაციური პროექტი საშუალებას მისცემს იმ კომერციულ მომხმარებლებს, რომლებიც მსგავს რეგიონებში არიან განთავსებული, მიიღონ უფრო იაფი ენერგია ბუნებრივი გაზის სახით ვიდრე ელექტროენერგია, ნავთობპროდუქტები თუ შეშაა.

#### ეკონომიკური ფაქტორები:

- სავალუტო რისკები - ლარის არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური პრობლემები.
- საპროცენტო განაკვეთი - გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია თავისი საქმიანობის გარკვეულ ნაწილს სესხით აფინანსებს, საპროცენტო განაკვეთი დიდ გავლენას ახდენს მის ფინანსურ ხარჯებზე.
- ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა და შესაბამისად გაზის მოხმარება.

#### სოციალური ფაქტორები:

- მოსახლეობის ზრდის ტემპი შემცირებულია, რაც პირდაპირ მოქმედებს გაზის მოხმარების მოცულობაზე რადგან, სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“ ახორციელებს სოციალური გაზის მიწოდებას რამდენიმე გამანაწილებელი კომპანიისთვის.
- გარემოს დაცვა - ბოლო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა გარემოზე ზრუნვას, რაც გულისხმობს ბაზარზე მყოფი კომპანიებისთვის დამატებით რეგულაციებს და მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას.
- დემოგრაფიული განაწილება - საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქებში. ქალაქის მოსახლეობას უფრო ნაკლები წვდომა აქვს გაზის შემცველ პროდუქტებზე, ვიდრე სოფლად. აქედან გამომდინარე, კონკურენციის რისკი ქალაქებში ნაკლებია.
- სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში - ბოლო წლებში ზრდის ტენდენციაა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გაზის მოხმარების მოცულობაზე.

#### ტექნოლოგიური ფაქტორები:

- ინტერნეტ და მობილური მომსახურებები საქართველოს ურბანულ რაიონებში კარგად არის განვითარებული, ხოლო სოფლებში ეტაპობრივად ფართოვდება დაფარვის ზონები, რაც ენერგო კომპანიებისთვისაც მომგებიანია, რადგან მარტივდება კომუნიკაცია მომხმარებელთან და საოპერაციო საქმიანობა.

### გარემო ფაქტორები:

- კლიმატური ცვლილებები: გაზის ბაზარი მკვეთრი სეზონურობით გამოირჩევა. ზამთრის სეზონზე მოხმარება დამოკიდებულია 2 ძირითად ფაქტორზე, ზამთრის საშუალო ტემპერატურასა და დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივობაზე.
- საქართველოს ეკოსისტემა მდიდარია გაზის შემცველი პროდუქტებით, კერძოდ, შეშა, წყალი, ელექტროენერგია, თუმცა ამჟამად საქართველოში ხის ჭრაზე კონტროლი გამკაცრებულია, რამაც შესაძლოა განაპირობოს გაზის მოხმარების ზრდა.

### საკანონმდებლო ფაქტორები:

- საგადასახადო პოლიტიკა: საგადასახადო სისტემის გამარტივება და ესტონურ მოდელზე გადასვლა ცალსახად დადებითად აისახება ბიზნესზე.

### კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა (ციფრული ტექნოლოგიები)

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და შემოსავლის წყაროა. ეს მიმართულება ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას და ავტომატიზაციას. კომპანიის განვითარების ამ ეტაპზე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება იგეგმება სამი ძირითადი მიმართულებით: კომერციული საქმიანობის ოპტიმიზაცია, ტექნიკური ოპერაციები და კონტროლის მექანიზმები.

ალექსანდრე ხეთაგური,  
დირექტორი

22 აგვისტო, 2019

### გამოყენებული მასალები:

1. შპს „იუაის“ დამოუკიდებელი რწმუნების ანგარიში 2018წ.

#### გარემო ფაქტორები:

- კლიმატური ცვლილებები: გაზის ბაზარი მკვეთრი სეზონურობით გამოირჩევა. ზამთრის სეზონზე მოხმარება დამოკიდებულია 2 ძირითად ფაქტორზე, ზამთრის საშუალო ტემპერატურასა და დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივობაზე.
- საქართველოს ეკოსისტემა მდიდარია გაზის შემცველი პროდუქტებით, კერძოდ, შეშა, წყალი, ელექტროენერგია, თუმცა ამჟამად საქართველოში ხის ჭრაზე კონტროლი გამკაცრებულია, რამაც შესაძლოა განაპირობოს გაზის მოხმარების ზრდა.

#### საკანონმდებლო ფაქტორები:

- საგადასახადო პოლიტიკა: საგადასახადო სისტემის გამარტივება და ესტონურ მოდელზე გადასვლა ცალსახად დადებითად აისახება ბიზნესზე.

#### კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა (ციფრული ტექნოლოგიები)

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და შემოსავლის წყაროა. ეს მიმართულება ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას და ავტომატიზაციას. კომპანიის განვითარების ამ ეტაპზე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება იგეგმება სამი ძირითადი მიმართულებით: კომერციული საქმიანობის ოპტიმიზაცია, ტექნიკური ოპერაციები და კონტროლის მექანიზმები.

ალექსანდრე ხეთაგური,  
დირექტორი

22 აგვისტო, 2019

#### გამოყენებული მასალები:

1. შპს „იუაის“ დამოუკიდებელი რწმუნების ანგარიში 2018წ.